ნიკო ჯავახიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს დროშა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა თვალსაზრისით (1917 წელი)

1914 წელს, პეტრე სურგულაძის მესვეურობით, ჟენევაში ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" (იგივე – დამკომი), რომელშიც გაერთიანდნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები, გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი, ნესტორ მაღალაშვილი, შალვა ვარდიძე, მელიტონ ქარცივაძე, ზია-ბეგ აბაშიძე და სხვები.

I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ბერლინში გადავიდა და მჭიდრო კავშირი დაამყარა გერმანიის მმართველ წრეებთან. მათივე დახმარებით, დამკომმა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე, კერძოდ, ჭანეთში ჩამოაყალიბა საჯარისო შენაერთი „ქართული ლეგიონი".

სწორედ გერმანიის მხარეზე მებრძოლი დამკომისა და ქართული ლეგიონის ისტორიას უკავშირდება პირველი ქართული ორდენის – თამარ მეფის ორდენის დაწესება და არსებობა. ამ წარჩინების ნიშნის კავალერთა შორის არიან, როგორც გერმანელები, ასევე ქართველები. აქედან გამომდინარე, თამარის ორდენი, არსებითად, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდოა. ამ ორდენის კავალერი შეიძლებოდა გამხდარიყო ისიც, ვინც არ შედიოდა ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამსახურს გაუწევდა გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ასეთთა შორის იყვნენ, როგორც ქართველები, ასევე გერმანელები [1; 2, 26-33].

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორ წარმოედგინათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ არსებული ქვეყნის დროშა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს.

როგორც ცნობილია, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნი-

ლი სამფეროვანი (შავი, თეთრი და შინდისფერი) დროშა, რომელიც გერმანიის იმპერიის სახელმწიფო დროშის მსგავსი იყო (იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს სამივე ფერი ბოლომდე გასდევდა), აფრიალდა 1917 წლის 19 ნოემბერს, როდესაც თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა გაიხსნა. ამ ყრილობის მონაწილეებს გულზე სწორედ ასეთი ფერის ბაფთები ეკეთათ [3, 6].

ეს დროშა, სულ რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად იქცა.

საგულისხმოა, რომ შემორჩენილია ოფიციალური დოკუმენტი, გაცემული ზემოხსენებულ თარიღამდე ნახევარი წლით ადრე, საიდანაც ირკვევა, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი დამკომის წევრებს საქართველოს დროშა.

1917 წლის 1 მაისით დათარიღებული აღნიშნული საბუთით დგინდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს თამარ მეფის ორდენით დაუჯილდოვებია გრაფი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (1875-1944), რომელიც I მსოფლიო ომამდე იყო გერმანიის იმპერიის კონსული თბილისში. მოგვიანებით, ის მსახურობდა გერმანიის ელჩად სსრ კავშირში (ომის დაწყებამდე). „ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებასა“ და 1944 წლის 20 ივლისს, ქალაქ რასტენბურგში, ე. წ. „მგლის ბუნაგში“, გერმანიის კანცლერ ადოლფ ჰიტლერზე განხორციელებულ აფეთქებაში მონაწილეობის ბრალდებით, გრაფი შულენბურგი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქ ისტანბულში გაცემულ ამ დოკუმენტს, რომელზედაც დაფიქსირებულია ამ ქალაქის ისტორიული დასახელება – კონსტანტინოპოლი, ხელს აწერენ დამკომის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე და წევრები: ზ. აბაშიძე (მემედ-ბეგ აბაშიძის ბიძაშვილი), ო. ქარცივაძე, მ. მაღალაშვილი. ეს სიგელი გამოქვეყნებულია წინამდებარე კრებულის გარეკანის ბოლო გვერდზე.

საბუთში ვკითხულობთ: „მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენ საქმეში, გვაქვს პატივი მოგაწოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მარცხენა მკერდზე ქვემოდან“.

დაჯილდოების დამადასტურებელ ამ სიგელს, ქვედა მარცხენა მხარეს აქვს დასმული მრგვალი, ლურჯი ფერის ბეჭედი, შემდეგი წარწერით: „დამოუკიდებელ საქართველოს პარტიის ხელმძღვანელი

კომიტეტი“.

საბუთზე, ტექსტის ზემოთ, ცენტრში გამოსახულია თამარ მეფის ორდენი, რომლის ორივე მხრიდან აღმართულია დროშა – წითელი (შინდისფერი) და შავი ჰორიზონტალური ზოლებით. ასეთივე ფერის ლენტი მთლიანად აქვს გარს შემოვლებული ამ სიგელს [4, 21].

ბუნებრივია ისმის კითხვა, რატომ იყო დროშაზე მაინცდამაინც წითელი (შინდისფერი) და შავი ფერები?

შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებაში „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გარკვეულწილად ასახავს ქართულ სინამდვილესაც, ვკითხულობთ:

„ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“.

პროფესორები აპოლონ სილაგაძე და გოჩა ჯაფარიძე თავიანთ ბროშურაში, რომელსაც სათაურად აქვს „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოღებული ზემოხსენებული სიტყვები, წერდნენ: „დროშები ფერთა ასეთი შეხამებით არ არსებობდა ჩვენს მეზობელ არც ისლამურ სამყაროში, არც ბიზანტიაში. ამჯერად არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, მოტანილი სტრიქონი რუსთველურია, თუ ჩანამატი, – ორსავე შემთხვევაში საქართველოში არსებობდა ტრადიცია, რომ შავი ფერი ალამზე, წითლის გვერდით, სულაც არ არის არაჩვეულებრივი და მიუღებელი“ [5, 30].

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, უნდა ვივარაუდოთ, რომ დამკომის წევრებს, როგორც ქართველ მამულიშვილებს და განათლებულ ადამიანებს, აღნიშნული ფერები შემთხვევით არ შეურჩევიათ დროშისათვის, რომელსაც, როგორც ჩანს, ისინი მოიაზრებდნენ საქართველოს მომავალ სახელმწიფო დროშად.

რასაკვირველია, ასეთი დროშა ბევრად უფრო ტრადიციული და შესაფერისი იქნებოდა საქართველოსთვის, ვიდრე სამფეროვანი ალამი, რომელიც 1918 წელს იქცა პირველი ქართული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ჩანს, დაჯილდოების სიგელებს, მსგავსი გაფორმებით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი მოგვიანებით აღარ გასცემდა. კერძოდ, დამკომის მიერ 1918 წელს გაცემულ სიგელებზე, დროშის გამოსახულება საერთოდ აღარ გვხვდება [1].

როგორც ჩანს, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა

ანგარიში გაუწია იმ ფაქტს, რომ სამფეროვანმა დროშამ იმხანად უკვე ოფიციალურად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის სახელმწიფო დროშის სტატუსი.

ამრიგად, ზემოთ განხილული დოკუმენტური მასალიდან ნა-თელი ხდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს, რომლებიც I მსოფლიო ომის პერიოდში, სახელმწიფოებ-რიობის აღდგენას გერმანიის მხარდაჭერით ცდილობდნენ (რაც 1918 წლის 26 მაისს რეალობად იქცა), ჩვენი სამშობლოს დროშად წარმოედგინათ ალამი – წითელი (შინდისფერი) და შავი ჰორიზონ-ტალური ზოლებით. ეს კი ეხმიანება „ვეფხისტყაოსანში" დაცულ ზემოხსენებულ ცნობას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნიკო ჯავახიშვილი, თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან), თბილისი, 1998.
2. ნიკო ჯავახიშვილი, პირველი ქართული ორდენი, ნაწილი პირვე-ლი, საისტორიო ჟურნალი „ისტორიანი", თბილისი, 2019, № 5 (100).
3. დავით კლდიაშვილი, თანამედროვე საქართველოს ჰერალდიკა, თბილისი, 2008.
4. ნიკო ჯავახიშვილი, პირველი ქართული ორდენი, ნაწილი მეორე, საისტორიო ჟურნალი „ისტორიანი", თბილისი, 2019, № 6 (101).
5. აპოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე, „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა", თბილისი, 1999.

Niko Javakhishvili
Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Georgian State Flag by the Vision of the Part of Georgian Society in 1917

Summary

"Georgia's Independence Committee", which was functioning in Berlin during the World War I assumed, that by the help of German's they could restore Georgia's statehood.

By the help of German government the Committee established „Georgian Legion" on the territory of Turkey (Lazistan). The establishment and existence of the first Georgian reward – the Order of King Tamar was connected to the above mentioned Committee and Georgian Legion members, who fought on the side of Germans. The holder of the reward could become a person of Georgian as well as German origin, who was not a member of the Legion, but had successfully served German-Georgian military-political alliance mission.

The document issued by the Committee on May 1, 1917 proves that a German diplomat Graff Friedrich-Verner Schulenburg (1875-1944) was awarded with the Order of King Tamar. By the same document it can be also proved how „Georgia's Independence Committee" versioned Georgian state flag, which would have had red and black horizontal stripes. This type of flag is described by prominent Georgian poet of XII-XIII century – Shota Rustaveli in his poem „The Knight in the Panther's Skin" as the Georgian flag of that period.